საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებელი საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ. დუშეთი 06.04. 2015 წ.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

თამაზი უნდილაშვილი– კომისიის თავჯდომარე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეგლის მოადგილე,

საკონკურსო კომისიის წევრები:

ჯანსუღ ხონელიძე - კომისიის თავჯდომარის მოადგილე; სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი;

თემურ ეღიკაშვილი - მშენებლობის ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ვლადიმერ კობაიძე - ინფრასტრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი;

ნიკოლოზ დუდაური - სივრცითი მოწყობის და ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი;

ვაჟა ჭინჭარაული - დუშეთის მუნიციპალიტეტი ს და საკრებულოს სივრცითი, ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.

იოსებ პაპიაშვილი- ინფრასტრუქტურის განვითრების რეაბილიტაციის და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი.

საკონკურსო კომისიის აპარატი

ავთანდილ რაზმაძე- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

მარიამ ზაქაიძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 12 ფილიალის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კერძოდ: N1 ფილიალი; ქ. დუშეთის N2 ფილიალი; ქ. დუშეთის N3 ფილიალი; ბაზალეთის ფილიალი; აწანურის ფილიალი; ჭოპორტის ფილიალი; გრემისხევის ფილიალი; მჭადიჯვრის ფილიალი; ბარისახოს ფილიალი; პირმისაანთკარის ფილიალი; მაღაროსკარის ფილიალი; ფასანაურის ფილიალის მოწყობა, ქ.დუშეთის სპორტული სკოლის შენობის რეაბილიტაცია; ქ. დუშეთის კულტურის სახლის, ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში წითლიან-ბიბლიანების წყალმომარაგების, ქ.დუშეთის ბაზრის რეაბილიტაციიის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად, საკონკურსო განცხადების ტექსტის გაცნობა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სპეციალურ ვებგვერდზე განთავსება.

/მომხ. ჯანსუღ ხონელიძე/

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკონკურსო განცხადების ტექსტი, დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 12 ფილიალის კერძოდ: N1 ფილიალი; ქ. დუშეთის N2 ფილიალი; ქ. დუშეთის N3 ფილიალი; ბაზალეთის ფილიალი; ანანურის ფილიალი; ჭოპორტის ფილიალი; გრემისხევის ფილიალი; მჭადიჯვრის ფილიალი; ბარისახოს ფილიალი; პირმისაანთკარის ფილიალი; მაღაროსკარის ფილიალი; ფასანაურის ფილიალის მოწყობა, ქ.დუშეთის სპორტული სკოლის შენობის რეაბილიტაცია; ქ. დუშეთის კულტურის სახლის, ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში წითლიან-ბიბლიანების წყალმომარაგების, ქ.დუშეთის ბაზრის რეაბილიტაციის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებით საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად თანხის გამოყოფის შესახებ. მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ზემოთხსენებული ობიექტების რეაბილიტაციისათვის საჭირო საუკეთესო პროექტის გამოსავლენად, მიაჩნია კონკურსის ჩატარება და სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება საკითხის შესახებ.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა და აღნიშნეს, რომ ზემოთხსენებული ობიექტები ნამდვილად საჭიროებს რეაბილიტაციას. კონკურსის ჩატარება საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ საუკეთესო პროექტი შენობების და წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისთვის.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 12 ფილიალის ქ.დუშეთის სპორტული სკოლის შენობის რეაბილიტაცია; ქ. დუშეთის კულტურის სახლის, ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში წითლიან-ბიბლიანების წყალმომარაგების, ქ.დუშეთის ბაზრის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად გამოცხადდეს კონკურსი.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების თავჯდომარის 2011წლის 10 თებერვლის N 3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად ,უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: / თ.უნდილაშვილი/

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /ჯ. ხონელიძე/

საკონკურსო კომისიის წევრები: /ვ.ჭინჭარაული/

/ი.პაპიაშვილი/

/ნ.დუდაური/

/თ. ეღიკაშვილი/

/ვ. კობაიძე/